



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო კ მ ი N20

ქ. მარნეული

07.12.2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭორძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, რამიზ გულმამედოვი, ქამილ ალიევი, ჯომჯუნ ზეინალოვი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, ისმაილ ბაირამოვი, რაფიკ ჯაფაროვი, მახირ იუსუბოვი, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, გივი ქველაძე, აზიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, რიჩარდ გიგანი, სულეიმან ხალილოვი.

არ ესწრებოდა:

- ნიკოლოზ გოგოჭყორი, რაფიკ მუსაევი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ზურაბ სხირტლაძე, ლევონ აკოპიანი, ნიზამი ვალიევი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი.

სხდომას ესწრებოდა:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადეღია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები., გაზეთ „ოზანის“ რედაქტორი ქამილ მუსაევი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. 1.,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადების განხილვის შესახებ.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარისში მცხოვრები გიორგი გუჯეჯიანის განცხადების განხილვის შესახებ.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 დეკემბრის N03/5269 წერილის განხილვის შესახებ.

5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 4 დეკემბრის N03/5282 წერილის განხილვის შესახებ

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 30 ნოემბრის N3523-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 25 ნოემბრის N3430-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 11 ნოემბრის N3243-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 ნოემბრის N3087-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 დეკემბრის N3599-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 დეკემბრის N3551-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 4 დეკემბრის N3614-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 4 დეკემბრის N3620-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

14. სოციალური საკითხები

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის

ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგინებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგინება N39. 07.12.2015 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადება და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს ქალაქ მარნეულში მდებარე მეჩეთების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დასაფარად ქვითარი N50/11610001-ს მიხედვით 114 ლარი და 95 თეთრი და ქვითარი N 50/11611098-ს მიხედვით - 283 ლარი და 35 თეთრის გადარიცხვა მეჩეთის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N185. 07.12.2015 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარისში მცხოვრები გიორგი გუჯეჯიანის განცხადება და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს 1500 ლარის გამოყოფა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარისში მცხოვრები გიორგი გუჯეჯიანისათვის ევროპის პროფესიონალ მოკრივეთა ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად მოსამზადებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N184. 07.12.2015 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 3 დეკემბრის N03/5269 წერილის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა შეტანილი იქნეს ცვლილება ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2015 წლის ხარჯთაღრიცხვაში და დამტკიცდეს წარმოდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N173. 07.12.2015 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 4 დეკემბრის N03/5282 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ითხოვა თანხმობა, რათა შეტანილი იქნეს ცვლილება ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს 2015 წლის ხარჯთაღრიცხვაში და დამტკიცდეს წარმოდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა .

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N174. 07.12.2015 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 დეკემბრის N03/5257 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა ნება დაერთოს მოქალაქე სევდა ალიზაძეს (პ/ნ. N28001028304) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N83.02.19.251) რეგისტრაცია განახორციელოს შ.პ.ს. „არქიტექტურა -2009“-ს მიერ 2015 წლის 27 ნოემბერს შესრულებული ზუსტი საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N182. 07.12.2015 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 27 ნოემბრის N03/5146 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 25 ნოემბრის N3430-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე რასიმ კარახმაზლის (პ/ნ 28001034203) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.23,783, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, მაზნიაშვილის ქუჩა N25ა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N175.07.12.2015 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 16 ნოემბრის N03/4905 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 11 ნოემბრის N3243-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 1 ოქტომბრის N121 განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ მარნეულის რუსთაველის ქუჩა N70 -ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში მდებარე ბინის ნუმერაციებში და იგი განისაზღვროს დანართი N1-ს შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N178. 07.12.2015 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 16 ნოემბრის N03/4843 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 ნოემბრის N3087-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

„რუსთაველის 20“-ს მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნიებული მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები (საკადასტრო კოდი: 83.02.23.817) შ.პ.ს. „დაგის“ მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 2472 კვ.მ განაშენიანების ფართი შენობა 01/4 – 795 კვ.მ; 02/1 – 29 კვ.მ; 03/1 – 28 კვ.მ; 04/1-27 კვ.მ; 05/1 – 27 კვ.მ.).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N183.07.12.2015 წ.).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 4 დეკემბრის N03/5277 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 დეკემბრის N3599-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ლიანა ბინათოვას (პ/ნ 28001006265) საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.17.173, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, პუშკინის ქუჩა, I ჩიხი, სახლი N2ა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N179. 07.12.2015 წ.).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 დეკემბრის N3599-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ფახრადინ პირიევი ითხოვს მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღრიცხულია მონაცემით: ნიზამის ქუჩა, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ნიზამის ქუჩა N25ა. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია, რის გამოც მიზანშეწონილია მისი განხილვა მოხდეს დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, რასაც საკრებულოს წევრები დაწთანხმნენ და საკითხი განსახილველად გადაიდო შემდგომი სხდომისთვის.

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 4 დეკემბრის N03/5292 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 4 დეკემბრის N3614-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ილალ ნამაზ კიზის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის ტექ.ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხულია მისამართით: ქ.მარნეული, ნიზამის ქუჩა N18, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ნიზამის ქუჩა N17ა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N180. 07.12.2015 წ).

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 4 დეკემბრის N03/5293 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 4 დეკემბრის N3620-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა ა.ა.ი.პ. „ახალგაზრდობა მიზნით“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.01.676, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ჯავახიშვილის ქუჩა, ჩიხი III, N20ა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N181. 07.12.2015 წ).

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა ბესიკ გუჯეჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდება მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურისათვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში და წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწევათ სხვადასხვა დახმარებები **ერთჯერადი დახმარებისათვის** - ლიანა გელაშვილს - 100 ლარი, რუსიკო მარგიანს - 100 ლარი, გიულარა აბასოვას - 100 ლარი, სირვარდ ხაჩატურიანს - 100 ლარი, ატლაზ მუსაევას - 100 ლარი, ასლი ალიევას - 100 ლარი, ნადია ნავერიანს - 100 ლარი, ჟუჟუნა კორძაიას - 100 ლარი, ვარდო ხერგიანს - 100 ლარი, ანზორ ქალდანს - 100 ლარი, მადონა ნიგურიანს - 100 ლარი, გაჯი რზაევს - 100 ლარი, ალისა კულიანს - 100 ლარი, ბახარ მამედოვს - 100 ლარი, ჯეირან გურბანალიევას - 100 ლარი, იაკუბ ახმედოვს - 100 ლარი, კამიკ ვერმიშიანს - 100 ლარი, ცარუ ნავერიანს - 100 ლარი, ანზორი აბრამიშვილს - 100 ლარი, ჯუმშუდ ჯულფაევს - 100 ლარი, გერასიმ ავეტისიანს - 100 ლარი, თამუნა რატიანს - 100 ლარი, გიულნარა მამედოვას - 100 ლარი, ზანურა მურსალოვას - 100 ლარი, მიულა დადვანს - 100 ლარი, სურაია ნაბიევას - 100 ლარი, სატენიკ აჯამოვას - 100 ლარი, კასუმ აბბასოვს - 100 ლარი, აიტენ გასანოვას - 100 ლარი, ფახრადინ სადიგოვს - 100 ლარი, სონია ბესტავაშვილს - 100 ლარი, რუსიკო გიორგაძეს - 100 ლარი, ნაბატ ნასიბოვს - 100 ლარი, სეიმურ ბაირამოვს - 100 ლარი, გაჯი კურბანოვს - 100 ლარი, ხადიჯა პირვერდიევას - 100 ლარი, ბაქირ დამირჩალოვს - 100 ლარი, ბახრამ მასმალიევს - 100 ლარი, აფლატუნ მუსტაფაევს - 100 ლარი, ხანუმ ალიავას - 100 ლარი, თეიმურ სულეიმანოვს - 100 ლარი, ვიდადი ბადალოვს - 100 ლარი, რუსლან ემინოვს - 100 ლარი, ლალა სადიკოვს - 100 ლარი, ლეილა გასანოვას - 100 ლარი, ნაზიმ ტალიბოვს - 100 ლარი, ოთარ გელაშვილს - 100 ლარი, კანაზარ ვალიევას - 100 ლარი, ზახიდ ნამაზოვს - 100 ლარი, სონა ალავერდიანს - 100 ლარი და ქეთო გუგუსიანს - 100 ლარი. **მედიკამენტებისათვის** - ნინო ხვისტიანის მამას გურამ ხვისტიანს - 350 ლარი, ანა ჭილაძეს - 400 ლარი, ნაზიმ მამედოვის მამას მაჰამედ მამედოვს - 250 ლარი, მედიკო გუნიას - 278 ლარი. **ოპერაციისათვის** - შუქურ გულიევის შვილს ბილალ გულიევს - 700 ლარი, ელმინ ომაროვს - 600 ლარი, საიდა კარაბაშოვას შვილს ელვინ აბზაროვს - 200 ლარი, უშანგი ცეცხლაძის შვილს ანზორ ცეცხლაძეს - 355

ლარი, ზაკაიატ ახმედოვას შვილს ფლორა ისაევას - 255 ლარი და რაფაილ აბასოვის შვილიშვილს აილინ აბასოვას - 600 ლარი. ასევე როგორც გამონაკლისი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ულაშლოში მცხოვრები იმან ზეინალოვის მკურნალობის ღირებულებიდან 700 ლარის, სოფელ საიმერლოში მცხოვრები იზოლდა ქველადის მედიკამენტებისათვის 400 ლარის და სოფელ დიდ მულანლოში მცხოვრები არიზ ალახვერდიევის მედიკამენტებისათვის 1500 ლარის გადარიცხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად და საგარანტიო წერილებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით საფაიატ ნაბიევასათვის -600 ლარის, ლატიფა ალმამედოვასათვის -450 ლარის, მუბარიზ ტალიბოვისათვის -430 ლარის, ახმედ შაბანოვისათვის - 402 ლარის, ნაზრინ ტალიბოვისათვის - 1350 ლარის გადარიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები და განკარგულებები N176 და N177. 07.12. .2015 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის მეოცე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი